განმარტებითი ბარათი
„დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების რეგულაციების თაობაზე

ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ფორმის, მათ შორის, დიზაინის ეფექტიანი დაცვა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე ეკონომიკაში. დიზაინი ზრდის პროდუქტის კონკურენტუნარიანობას, სავაჭრო ღირებულებასა და მომხმარებლის ინტერესს. მისი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ძლიერი სამართლებრივი დაცვა კი ქმნის სტიმულს ინოვაციისთვის, კრეატიული საქმიანობის განვითარებისა და ბიზნესის ზრდისთვის. ამ კონტექსტში, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი საერთაშორისო მექანიზმების დანერგვა და გამოყენება, რომლებიც დიზაინერებსა და მეწარმეებს მისცემს შესაძლებლობას უფრო მარტივად და ნაკლები პროცედურული ბარიერების პირობებში დაიცვან თავიანთი ნამუშევრები.

2024 წლის 22 ნოემბერს, რიადში, საუდის არაბეთის სამეფოში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებულ იქნა „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულება. ამავე კონფერენციაზე მიიღეს ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული რეგულაციები და შესაბამისი რეზოლუცია.

„დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულება მიმართულია იმ პრაქტიკული და ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებისკენ, რომლებიც დიზაინერებსა და მეწარმეებს, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ხშირად ურთულებს დიზაინის სამართლებრივ დაცვასა და საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირებას. აღნიშნული ხელშეკრულება კი აღმოფხვრის იმ სირთულეებს, რომლებიც გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული პროცედურული მოთხოვნებით, ვადებითა და ბიუროკრატიული ფორმალობებით, რაც ზრდის ხარჯებს, ართულებს სამართლებრივი შედეგების წინასწარი განსაზღვრის შესაძლებლობასა და აფერხებს დიზაინის ეფექტიან დაცვას. ამიტომ, „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულება ადგენს იმ მინიმალურ, ერთიან სტანდარტებს, რომლებიც ზრდის სამართლებრივი დაცვის პროგნოზირებადობას, ამცირებს ფორმალობებთან დაკავშირებულ რისკებსა და უზრუნველყოფს განაცხადის წარდგენის პროცესის მეტ მოქნილობას.

ამჟამად, „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებას აღიარებს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დებულებებს მხარს უჭერს ხელშეკრულების ხელმომწერი 28 სახელმწიფო, მათ შორისაა: შვეიცარიის კონფედერაცია, ისლანდიის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების 30-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შედის 3 თვის შემდეგ, მას მერე, რაც შეუერთდება მინიმუმ WIPO-ს წევრი 15 სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია.

საქართველოსთვის აღნიშნული ხელშეკრულების მხარედ გახდომა წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რათა გააძლიეროს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემა და შექმნას უფრო ხელსაყრელი გარემო ინოვაციური და კრეატიული საქმიანობის განვითარებისთვის. ხელშეკრულებასთან შეერთება იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო დონეზე მოწინავე ქვეყნის პოზიციონირებისკენ და ხელს შეუწყობს ქართველი დიზაინერებისა და მეწარმეების უკეთ ინტეგრაციას საერთაშორისო ბაზარზე, გაამარტივებს უცხოეთში დიზაინის დაცვასა და გაზრდის საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას.

საქართველოში დიზაინის შექმნასთან, რეგისტრაციასთან, გამოყენებასთან, სამართლებრივ დაცვასა და უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონი და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 14 დეკემბრის №03 ბრძანება „დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობა, ძირითადად, შესაბამისობაშია „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებით დადგენილ დებულებებთან, თუმცა აღნიშნულ ხელშეკრულებაში მონაწილეობა საქართველოსთვის წარმოშობს ვალდებულებას კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანით უზრუნველყოს დიზაინის განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება ხელშეკრულებით დადგენილი მინიმალური სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, უზრუნველყოს განაცხადის წარდგენის ფორმალური მოთხოვნების შემდგომი დახვეწა – ვადების გაგრძელებისა და, განსაკუთრებულ შემთხვევებში (ფორს-მაჟორი), საქმისწარმოების აღდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფით. ამასთანავე, აღნიშნული ხელშეკრულება სახელმწიფოს ანიჭებს უფლებას შეინარჩუნოს ეროვნული სპეციფიკის შესაბამისი მიდგომები იმ საკითხებში, რომლებიც ხელშეკრულებით არ არის მკაცრად განსაზღვრული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შეერთება „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებასთან წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომელიც ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის შემდგომ გაძლიერებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, რაც თანხვედრაშია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერების სახელმწიფო პოლიტიკასთან.

ხელშეკრულების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულება ღია იყო ხელმოწერისთვის მისი მიღების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდი იყო 2024 წლის 22 ნოემბერი - 2025 წლის 22 ნოემბერი. ამავე ხელშეკრულების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის (ii) ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ სუბიექტისთვის, ვინც არ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, გათვალისწინებულია შეერთების ინსტრუმენტი. საქართველო არ არის აღნიშნული ხელშეკრულების ხელმომწერი და ძალაში შესვლის ინსტრუმენტად განისაზღვრა შეერთება.

ხელშეკრულებასთან და რეგულაციებთან შეერთება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ხელშეკრულებისა და რეგულაციების წარმდგენია საქართველოს მთავრობა. ხელშეკრულებისა და რეგულაციების ავტორია სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“.